

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასადგის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.  
შვალე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრუტ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15 — 4.  
შოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენეთ თქვენი. მათ. 11 — 28.


## ჩვენ მოძიეთა საშუალებად.



მოძღვარი სამწყსოთათვის სახე, მაგალითი უნდა იყოს. ამისათვის ყოველს მის მოქმედებას, მიხერა-მოხერას სიტყვა-პასუხს, მიმართულებას და გარეგან სახესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვა ერის კაცთა ნაკლულევაწებას ისე არაიენ აქცევს ყურადღებას, როგორც მოძღვრის და საზოგადოდ სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურისას. ამისათვის ყოველი მოძღვარი ყურადღებას უნდა აქცევდეს თავის თავს და მაცადინობდეს, რომ კულის მხრით არ მიიქციოს საზოგადოების ყურადღება; უნდა მაცადინობდეს, რომ თავის სიტყვა-პასუხით, მიმოხერით, საქციელით და გარეგანი შეხედულობით თავიანთ სულიერ შეიღებსა

და საზოგადოებაში სთესდეს კეთილს და სისამოვნო შთაბეჭდილებას. სამწყსოთათვის უნდა გამოეცხადეთ, რომ მზავალნი ჩვენი მოძმეთაგანნი სრულებით არ აქცევენ ყურადღებას ამ მხრით თავიანთ მოქმედებას, მიმოხერას, სიტყვა-პასუხს, გარეგნულ სახეს და სხვ. იყო დრო როცა სამღვდლო პირთა გარეგანი ნაკლულევაწებას და საქციელს საზოგადოება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ეს დრო წავიდა. დღეს უზრალთა ნაკლულევაწება მოძღვართა დიდათ ეწვევებთ და მტრის-მეტადაც აზიადებენ. ამისათვის, ვიმეორებთ, ყოველი მოძღვარი მკაცრ ყურადღებას უნდა აქცევდეს თავიანთ თავს და საქციელს...

ზწირად გაიგონებთ დღეს სამღვდლოებათა შორის ჩვენ ხალხზე სამღვდლავს: ხალხი პატივს აღარ სცემს მღვდლებს ძველებურადო. დაიდა, ეს მართალია, მაგრამ ამ შემთხვევაში ბრალი ედება თვით სამღვდლოებასაც. ზოგიერთ სამღვდლო პირთა საქცი-





ელმა სრულებით დაუტარა სამწყსოთა ნდობა და პატვისცემა დანარჩენ სამღვდელთაზე.

საჭიროდ მიგვაჩნია დედასახელოთ ზოგიერთ სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთა ნაკულუღევანებანი, რომელთა წყალობით საზოგადოდ სამღვდლოების პატვისცემა და შეხედულება მდამლდება სამწყსოთა შორის. ამ ნაკულუღევანებათა ჩამოვლილი; ჩვენის აზრით, დახმარებას გაუწევთ უფიკ პირთა ღ ზოგ ჩვენ მოძმეთა გავაფრთხილებთ.

ზოგიერთი სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ნაკულუღევანებათა შორის გაბედვით შეგვიძლიათ დედასახელოთ:

**თუთუნის წგნა.**

თუთუნის წვეა ისე საოკრად არის მოდებული მთელს საზოგადოებაში და ყოველ წოდების დიდსა და პატარათა შორის, სამღვდლო და საეროში, რომ ზოგიერთი სამღვდლო პირები სრულებით აღარ ჩიათირობენ თუთუნის წვეს. ეს ნაკულუღევანება ისე შეთვისებთა ზოგიერთ სამღვდლო პირს, რომ არათუ სასირცხლო და საჩოთიროდ მიაჩნია თუთუნის წვეა საზოგადოების შესახედვად, არამედ სავალდებულოდაც მიაჩნია თვისი კობტა სათუთუნეთი ერის კაცებსაც მიაწოდოს ხოლოდ თუნუნია. ზოგიერთი კი თავიანთ ყალიონებს ვერცხლოულობითაც ამკობენ და მით თავს იწონებენ!.. გონების განვითარებისათვის ორ-სამ მანეთს არ გაიმეტებენ, იტყვიან: ღარიბნი ვართო, მაგრამ თუთუნის სასყიდლად კი წველიწადში 15 მანეთსაც კი არ დასჯერდებოან! როცა ამხილებ მათ ამითანა ნაკულუღევანებას გეტყვიან: მათი ბუნების მოთხოვნილებია, თუთუნის წვეის მიჩვევა ისეთი ძლიერია, რომ აღარ შეუძლიათ გადაჩვევა!.. განა მღვდელი და საეკლესიო მოსამსახურე ყოველ ცხოველურ ბუნების მოთხოვნილებას უნდა დაემონოს და დემორჩილოს? ეს სრულებით არ გამართლებს მოძღვარს, რომელსაც უღაშები თუთუნის კვალით გაშვებული აქვს და თუთუნის მყარად სუნს მისგან ერთი საყენის სიმორგზე იგრძნობთ. მართალია მღვდლის სამსახურსა და საიდუმლოების შესრულებას ეს ნაკულუღევანება ვერ დააბრკოლებს, მაგრამ მღვდლის ავტორიტეტს კი დასაცენს შეგნებულ ხალხის თვალში. ადვილად შეიძლება მღვდლისაგან უარის თქმამ პაპიროზის მიღებაზე და მოწვევაზე უსიამოვნებაც კი გამოი-

წვიოს, მაგრამ ეს უსიამოვნება უმეტესად აღამალებს მოძღვარს ხალხის თვალში. ამისათვის მოსპობა თუთუნის წვეისა სამღვდლოებაში სავალდებულოა, როგორც აკრძალული კანონისაგან და დამამაბლებელი მისი ხარისხისა.

სასწავლებლების მთავრობა სასტიკად უშლის თუთუნის წვეას მოსწავლეთა და კარგათაც იქცევა რამდენია რვეგენი მოსწავლეთა, რომელიც თავის სიტუაცებებს იმოკლებს თუთუნის წვეით? რამდენია პატარა მოსწავლენი ღ ყმაწვილნი რომელნიც გზაში გადანაგდებ ნამწვავ პაპიროსებს კრებენ და სწევენ, რომლითაც ტუჩებზე აიკრინან იმ საშიშარ სნეულებას რომლითაც იყენენ შეპყრობილნი ამ ნამწვთა გადამგდენნი? რამდენია უფიცი მშობლები, რომელნიც კიცხავენ სასწავლებლის მთავრობას იმისათვის, რომ მათ შეიკლებს უშლიან თუთუნის წვეას!..

რაცა შეეებათ თუთუნის წვეის აკრძალვას საერო წოდებაში, დღეს ეს ყოველად შეუძლებელია. საბორობმა სასწვლმა «ვიღაკამ» და მყარაღმა თუთუნმა ისე მაგრად გაიდგეს ფესვი ხალხში და მთელ სახელმწიფოში, რომ მათი მოსპობა შეუძლებელია. გადათავადიერეთ სახელმწიფოს შემოსავალი თუთუნის და არაყისაგან და ნამღვილად დარწმუნდებით, რომ არავითარი სამღვდლოების ქადაგებას არ შეუძლია მოსპოს ხალხის დამღუპველი ამ ორი ნივთის ხმარება და გავრცელება.

**ბანქოთი თამაშობა.**

ბანქოთი თამაშობაც ისეთი ჩვეულებრივი საქმეა ზოგიერთ მოძღვართათვის როგორიც არის თუთუნის წვეა. ზოგიერთი მოძღვარიც თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად რაცხავს ბანქოთი თამაშობას, როცა მიწვეული არი რომელიმე საპატრო ოჯახში. წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთ ახალგაზრდა სემინარიელ მღვდელს ბანქოს თამაშობაზე უარის თქმა სასირცხლოდაც მიაჩნია! როგორც თუთუნის წვეის დროს ისე ამ შემთხვევაშიაც თავს მართლულობენ მით, რომ იგინი ბანქოს თამაშობენ მოწყენილობის ვასაქარვებლად და დროს ვასატარებლად შემდეგ მომალაივი მუშაობისა. ეს თავის გამართლება, რასაკვირველია, გროშათ არა ღირს და მრევლნიც ყოველთვის ბანქოთი მოთამაშე მოძღვართ პატვისცემით არ ისენიებენ.

განა ბანქოთი მოთამაშე მღვდელს თავის გამარ-



თლება შეუძლია რითიმე? სად აქვს მღვდელს მოსაწყენი დრო? მღვდელი ნიადაგ მქადაგებელი უნდა იყოს თავის სიტყვით, ცხოვრებით და მოქმედებით ყოველს ადგილას სადაც უნდა იყოს იგი. განა ცოტა რამ აქვს სათაქმელი, აღსახსნელი და განსამარტებელი ოჯახებში, სადაც ხშირად არის-ხოლმე იგი მიწვეული? განა ცოტა რამე ქრისტიანული განათლების და სახარების სიტყვების განმარტება შეუძლია ქეშმარიტ მოძღვარს ოჯახებში იმ დროის განმავლობაში როდესაც სხეები ამისთანა საცუღლულთა თამაშობაში ჰკარგავენ დროს? დაე, თუ ყველას ვერ დაითანხმებს მოძღვარი, რომ საუბარს ყური უფროდ ორი-სამი პირი მიიღოს დაითანხმოს და ბანქოთი თამაშობის ნაცულად ისაუბრონ უფრო სასარგებლო სასულიერო საგნებზე. მაგრამ ის არის უბედურება, რომ დღევანდელი განათლება ასეთ კაცებს იშვიათად ბადავს. ხშირად იტყვიან ხოლმე: თუ უმაღლესი სწავლის მიმღები მღვდლები გვეყოლოდა—გაკეთდებოდა! მაგრამ ტყუილი იმედია. რამდენ მოძღვარს ხედავთ მაღალი სწავლის მიმღებთ, რომელნიც მეღის მტკვრით გაბღვირულნი მწვანე მაგიდას მიჯდომიან პირში ძვირფასი პაპიროსებით გამოზრდილი. დიად, ამისთანა მოძღვრები ცხადია და აშკარად უმტკიცებენ სამწყსოთა, რომ ფულის და ჯამაგირისათვის ჩაიცივს ანაფორა, თორემ სახეში სრულებით არ ჰქონდა მეცხოვრის მოციქულნი გამზდარიყენენ და მქადაგებელნი ქრისტიანულ მოძღვრებისა. ამიტომაც, შენიშნა რა სამწყსომ ამისთანა საქციელი ზოგიერთ მოძღვართა დაჰკარგა ის პატივისცემა მოძღვართადმი, რომელიც წინეთ ჰქონდათ სამღვდლოებაზე. ამის შემდეგ არავის არა აქვს ნება სამწყსოს დაემდუროს თუ იგინი მათ პატივს არა სცემენ ძველებურად, ჩვენებურად.

დევ. დ. დ.—ქე.

(შემდეგი იქნება)

**ნიმართის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 25-28 აპრილის 1904 წ.**

(დასსრულები\*).

ერთ უკანასკნელ სხდომის დროს, სანამ კრება გაიხსნებოდა დეპუტატებმა შორის რაღაცაზე ცილობა ჩამოიარა თხოვნის ქაღალდის მიცემის შესახებ, როგორც მახსოვს, დრამის ფულების მამასახლისებისაგან შეკრებაზე და ხაზინის საშუალებით სამღვდლოებისაგან მიღების შესახებ. თავჯდომარემ დევ. დ. დამბაშიძემ შეკრებილ დეპუტატებს მოახსენა შემდეგი სიტყვა:

„უნდა მოგახსენოთ, მამანო დეპუტატო, რომ ავარ 36 წელიწადი გავიდა რაც სამღვდლოების მინიჭებული აქვს უფლება შეიკრიბონ ხოლმე ყოველ წელს და ერთად საჯონ თავიანთ სასწავლებელთა არსებობის საქმე. არაფერ არ უშლის მათ ამ კრებებზე სხვა თავიანთ საქირო და სასარგებლო საქმეებზედაც იქონიონ მსჯელობა, რასაკვირველია, იმისთანა საგნებზე და საქმეებზე, რომელნიც მათ დაგეგმარებიან თავის მივალუმბის აღსრულებაში ტემატიის საქმეების კეთლ წარმატებაში. რამდენია იმისთანა კითხვები, რომელთაც დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს სამღვდლოება, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ გამოტყობილი, ამისთანა სერიოზული კითხვები დავგიტოვებთ და უბრალო და უმნიშვნელო კითხვებზე ავსტეხავთ ერთ ცილობას და ძვირფას დროს ვეკარგავთ ცუდათ. დრამის ფულების შეკრება მამასახლისებისაგან და სამღვდლოებისაგან ამ ფულების მიღება ხაზინიდან ძლიერ სასიამოვნო და და სასიხარულოა ყველა მღვდლისათვის, მაგრამ ორსამგზის გვითხრეს ამ თხოვნაზე უარი. ჩვენი თხოვნა ყ-დ სამღვდლოთა საშუალებით ადგილობრივ გუმბერანტორებთან მიმართული არასოდეს არ ასრულებულა, რადგან ამისთანა საქმის დაკანონება უმაღლესი მთავრობისაგან უნდა იყოს შეწყნარებული. ამ საგანზე ორ-სამ გზის იყო კითხვა აღძრული და ისიც ექსარხოლისაგან მთავარმართებელთან, მაგრამ არა გამოვიდარა. ხაზინაში არა გვაქვს უფლება მივიღოთ დრამის ფულით, ამისთვის მოსამსახურენია არა გვეყავსო. დღესაცის ბედი ეწევა ჩვენს ამისთანა თხოვნას. ჩემის აზრით საქიროა ვითხოვოთ, რომ

\*) იხ. „მეწყესი“ № 20, 1904 წ.





სამღვდელოების დრამა მამასახლისებმა თავთავის დროს ჩააბარონ სამღვდელოებას და ამ ფულებით გლეხების ბეგარას არ ისტუმრებდნენ და შეუძლო კაცთაგან წანართმევ ქვაბებს და სხვა ნივთება მღვდლის დრამის ფულების გასატუმრებლად არ აჩვენებდნენ ხალხს. სხვა, დღეს-დღეობით, არა შეიძლება-რა. ჩვენი სურვილისამებრ ამ საქმის გადაწყვეტას ის დააბრკოლებს, რომ დრამა სამღვდელოებას ერთნაირად არ ეძლევა ყველგან. ქუთაისის გუბერნიაში ორი მანეთია შემოღებული და თფილისის გუბერნიაში 8 ბათონი პურია დადებული დრამით. იქ ბევრი ეყადნენ ფულათ ექცით დრამის გარდასახად, მაგრამ ვერ მოახერხეს.

მე წინეთაჲ მომიხსენებია კრებისათვის ზოგიერთი კითხვების გამო თხოვნის აღძვრა, მაგრამ, სამწუხაროდ, სამღვდელოების დებუტატებს არ მიუქცევია ყურადღება. დღესაც არ შემიძლია, რომ არ ურჩიო კრებას რომ ტელეგრაფებით თხოვნას თავი დაანებოს, მერმე იმისთანა ტელეგრაფებითა, რომ: ლ. ს. დ. ე. რ. კანდლაკი გვირჩევდა. ამისთანა ტელეგრაფებით საქმე არ გაკეთდება...

თუ ვინმე იმას ფიქრობს, რომ ჩვენდა უთხოვნელად ყოველი საქმე ვაგვიკეთდება ძლიერ მოტყუებული იქნება. თუ იმედი ექონიეთ, რომ ჩვენდა უთხოვნელად აღძვრენ შემადგომლობას ზოგიერთ ჩვენ საქირო საქმეების გამო, მაშინაც მოტყუებული დავრჩებით. ბევრი კითხვებია, რომელნიც საქიროებენ ჩვენგანვე განმარტებას და აღხსნას. ძლიერ-ძლიობით დაუმტკიცეთ წარსულ წელში ერთს უწმიდესი სინოდის ობერ სეკრეტარს, რომ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას ერთი კაპეიკი არ ეძლევა სახელმწიფოს ხაზინიდან იმ სახელმწიფო დაწესებულებათათვის შესანახად, რომელნიც საზოგადოდ რუსეთში უზრუნველნი არიან სახელმწიფო ხაზინის საშუალებით. ძლიერ-ძლიობით დაუმტკიცეთ, რომ ის ოცდაათი ათასი მანეთი, რომელსაც იმერეთის სამღვდელოება იღებს ხაზინიდან სახელმწიფო ხაზინის ფული კი არ არის, არამედ მეფეებისა და თავდაზნაურობის უხვი შეწირულ მამულებისა და ადგილებისა დალა, რომელიც ჩვენ მონასტრების და ეკლესიების შესანახად იყო დადებული და რომელი ადგილებიც ხაზინამ მიიღო 1870 წლებში. მამულების შემოსავალი ღირებულება შეფასებული იყო 30 ათას მანეთად 65—1868 წელში. ყველამ იცის თუ რა კიტრის ფასად იძლეოდა საეკლესიო

მამულები წინეთ ჩვენი საეკლესიო მამულების მართველობისაგან... დღეს ეს მამულები ერთი ორად და ერთი სამად მეტს იძლევა. საქიროა, რომ დაუმტკიცოს ყველა სამღვდელოებამ ეს ფულები სახელმწიფოს ხაზინის ფულები კი არ არის, არამედ ჩვენი მონასტრებისა და ეკლესიების მამულებისა, რომელნიც ხაზინამ მიიღო. საქიროა ვითხოვთ სემინარიის გახსნა, საღმრთო სკულის დედა-ენაზე სწავლება მდებარე კლასებში, ქართული ენისა რიგინად სწავლება ჩვენს სასულიერო დაწესებულებებში, საქიროა საღმრთო და საეკლესიო წიგნების ბეჭდვის და სხვა ფ-დ საყურადღებო საგნების შესახებ, რომელთა ჩამოთვლა საქიროდ არ მიიჩნია, რადგან თქვენც კარგად ხართ მიმხვდარი. ამ კითხვებზე, გულდამსობი მოფიქვება და თხოვნის აღძრა, მდებარე მთავრობიდან დაწყებული მაღალ მთავრობამდის, ფრიად საქირო არის. თხოვნა აკრძალული არ არის. თუ მიაქცევნ ყურადღებას ხომ კარგი, თუ არა და მომავალ თაობის წინაშე ჩვენ მიიწვევს სენდისი აღარ შეგვაწუხებს, იტყვიან: უთხოვნიათ, მაგრამ თხოვნა არ შეუწყნარებიათო. ჩვენგან აღრჩეულ პირთა უნდა დაველოდო ხაზინის შესახებაც ყოველივე თხოვნა. სრული იმედია ჩვენგან აღრჩეულნი პირნი მათი შესხედლობისამებრ სხვა საქირო საგნებზედაც აღძვრენ კითხვას და ითხოვენ სამღვდელოების დაყმაცობას.

ერთი დებუტატი არ დარჩენილა, რომ ეს სიტყვა ღიღის ყმაყოლილებით არ მოვსმინოს და თვითნებთა თანაგრძნობა არ გამოეცხადებოდეს. ერთნაირად განაცხადეს სურვილი ვექილების აღრჩევისათვის და აირჩიეს თვით ინიციატორი ამ აზრისა დეკ. დ. ლამბაშიძე, რომელთანაც დასახვედეს ორი კიდევ სხვა: დეკ. ე. ვეფხიაძე და მღ. ს. მჭედლიძე. ამ სამ პირს კიდევ მისცეს ვექილობა. ხსენებულ საგნების შესახებ თხოვნის აღძრისა.

კრების გახსნისათანვე შედგენილი ეურნალები წაიკითხეს, ხელი მოაწერეს და 28 აგვისტოს კრება დაიშალა.

ასასთან ვაცნობებთ სამღვდელოებას რომ ყველა კრების ეურნალები დამტკიცებულია. დამტკიცებულია აგრეთვე პარალელური კლასების დახურვაც და მომავალი წლიდან კომლის გადასახადი შემოღებულა 25 კაპ. მაგიერ 20 კაპ.





### ნაციონალური საჩუქარი

(წერილი ზედპეტის მიმართ)

განათლებულს ქვეყნებში ერთი მშვენიერი ჩვეულება არსებობს გამოჩენილის მამულიშვილების დასასაჩუქრებლად, დასაჯილდოებლად. ეს ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ ვამართვენ ხოლმე საჯაროდ ხელის მოწერასა, შეფარგებენ თანხასა და საჩუქრად მიართმევენ სახელოვანს მოღვაწესა. ამას ეწოდება ნაციონალური საჩუქარი. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენათ პოლონელის ბელეტრისტის სენკევიჩის მაგალითი. ეს მაღალ-ნიჭიერი შვილი პოლონეთისა შემძლებელი შემამულეც არის და, ამას გარდა, თავისი კალმით, რომლის ნაწარმოებნი აუარებელი რაოდენობით იფინება პოლონეთში და სხვა ქვეყნებში, დიდი სიძლიერე შეიძინა. მიუხედავად ამისა, შარშან პოლონელებმა ხელის მოწერით შეაგროვეს დიდ-ძალი ფული, იყიდეს არისტოკრატიული სასახლე, მარნით, რომელშიაც ჩინებული ღვინით სავსე ქვევრები იყო, და თავისს სახელოვანს მამულისშვილს მიართვეს, როგორც ნაციონალური საჩუქარი.

ცხადია, თუ რამდენად უნდა ენმარებოდეს ეს საუცხოვო ჩვეულება საქვეყნო მოღვაწეობის გამძლიერებას, მამულიშვილობის აღორძინებას...

ჩვენში ჯერ ეს მისაბაძი ჩვეულება შემოღებული არ არის ნაციონალური საჩუქრით საქართველოში ჯერ არავინ დაჯილდოებულა, როგორც გვახსოვს. დროა კი ეს ჩინებული ჩვეულება გადმონერგილ იქმნეს ჩვენშიაც.

ამ ჟამად ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა დაიწებთ ითხოვეს ნაციონალურის საჩუქრის შემოღებას საქართველოში. რამდენისამე დღის წინად ავად გახდა მთავარი მამულიშვილი და დიდი პოეტი საქართველოსი—აკაკი. თუმცა საშიშარ მდგომარეობიდან, ყველას სასიხარულოდ, იგი უკვე გამოვიდა; მაგრამ მისი სრული მორჩენა ითხოვს დიდს სიფრთხილად, ღირს-სიფაქიზეს, სამავალითო მოვლასა. ოთხი ქართველი ექიმი თავს დასტრიალებს და დღე-ღამე უდარაჯებს ძვირფასს ავადმყოფსა.

ავადმყოფობა აკაკისა ძირს უმთავრესად შედგები უკიდურესის ნივთიერის გაჭირვებისა, ყოველ-გვარ ნაკლებეფანებისა, მოუსვენარის მდგომარეობისა. ექიმების აზრით, ჩვენის განთქმულის მგოსნის სრუ-

ლის მორჩენისათვის საჭიროა არა მარტო სამავალითო მოვლა ამ ზამთრის განმავლობაში, არამედ წყლებზე გაგზავნაც საზღუებლოდ. ეს კი მოითხოვს ბლომა ფულსა, რომელსაც აკაკი სრულიად მოკლებულია.

თუმცა ქართველები საზოგადოდ ხელმოკლენი ვართ და მდიდარი ჩვენს შორის არ მოიპოვებიან, მაგრამ შეერთებული ძალით შეგვიძლიან იმოდენა თანხა მოვაგროვოთ, რომ ჩვენის საყვარელის პოეტის მორჩენაც უზრუნველ ყოფილი ვქმნათ და შემდეგშიაც გაჭირვება და მოუსვენრობა თავიდან ავაცილოთ. ამასთან უნდა ვიტოდეთ და კარგად გვახსოვდეს ორი რამ: ჯერ ერთი ესა, რომ აკაკის პოეტური ნიჭი და სიძლიერე კალმისა იოტის ოდენადაც არ შემცირებულა დღემდინ, თუმცა იგი უკვე გადადგა სამოცდა მეხუთე წელიწადში, და არა ერთს და ორს უკვდავს ქმნილებას კიდევ აჩუქებს თავისს საყვარელს სამშობლოს, თუ სენს და მოუსვენრობას თავიდან ავაციოლებთ; მეორედ ისა, რომ იმისთანა მაღალი და თავისებური ნიჭი, რომლითაც დაჯილდოვებულია უხვად აკაკი, თვით ევროპულს ცრებშიაც ძალიან იშვიათი მოვლენაა, და ვინ იცის, ელისება, თუ არა, ქართველს ერს მეორე აკაკი შემდეგ საუკუნოებში.

დიად, საქართველოს წმინდა მოვალეობას შეადგენს დააარსოს თანხა აკაკისა. ამ სასიქადულო საქმეში, რასაკირველია, სიხარულით მიიღებენ მონაწილეობას არა მარტო კერძო პირები, არამედ საზოგადო დაწესებულებანიც და მთ შორის ისინიც, რომელნიც წინადაც დაჰხმარებიან ჩვენს მგოსანს გაჭირვების დროსა.

ამითი ქართველობა მოინანიებს და ნახევრობით მაინც იპატიებს იმ დიდს შეცოდებას, რომ მან ვერ მოახერხა იუბილეთი გაემართანა თავისი განთქმული პოეტისათვის, თუმცა ორმა საიუბილეთო ვადაც უკვე გაიარა.

პირადად მე ამ თანხის სასარგებლოდ გადამიღვია ჩემი წვლილი ათი თუმანი (100 მანეთი) და გარდა ამისა ვკისრულობ მომავლის იანვრიდან თითო თუმანი ყოველს თვეს წარუდგინა კერძო კომიტეტს, რომელიც უნდა შესდგეს ფულის მისაღებად, შესანახად და დასახარჯად თვის-თვეობით, თანხმად დანიშნულებისა.





ამ კერძო კომიტეტში უმეტესად ექიმები უნდა იყვნენ. ჩემის მხრივ ვასახელებ შემდეგს ხელს ქართველს, რომელნიც, იმედია, სიხარულით იკისრებენ ამ საქმეს: ბნთ ექვთამე თაყაიშვილსა, ვახტანგ ღამბაშიძესა, პეტრე კიწრიასა, ალექსანდრე ღიასა-მიძესა და ვახტანგ მუსხელიაშვილსა. („ცნ. ფურ.“)

თავთ გავგებაშვილი.

P. S. ხელმოკლე ქართველებს შეუძლიანთ მიიღონ ამ სასიქადულო საქმეში მონაწილეობა ამ სახით: ამას წინადაც კიამ გამოსცა ცალკე წიგნად თავისი თხზულება: «ჩემი თავ-გადასავალი». დღეს გაუყრიველია თათს ხუთასი ცალი (1500). კეთილმა ქართველებმა რომ არ დაეშურონ თითო მანეთი და მთლად გაასაღონ გამოცემა, ავტორსაც დახმარებას გაუწევენ და თავის ბიბლიოთეკასაც შესძენენ ჩინებულს თხზულებას, საესეს ცოცხალი ინტერესებით.

ი. გ.

**მართაშვიის ახულს საპასუხოდ.**

მეც მახსოვს ცემი!.. არ მავიწყდება საღამო მე იქ გატარებულ!.. რომ მაგონდება, ახლაც სიამით და სიტკბოებით მიღვლავს გული. შორს, შორს, მადლობზედ დაცემულ მინდორს გარს შემორტყმია ხშირი ნაძვარი, რომ გაუგრილოს ცხელი ზაფხული და დაუამოს ცივი ზამთარი. წმინდა მდინარე, ცეცხლად მჭვრარე, გარს შემოუღვლის იმ არე-მარეს და თელხს უგზავნის, რომ შეარხიოს სულ-მოკიდებულ ყვავილს, მკენარეს. ყველა ერთად იმ ღრმა წყვილიაღში უცდის... მოვლის სულ-განაბული: მნათობი როდის ამობრწყინდება? და როდის დასტვენს ტკბილად ბუღბუღი? და, აჰა, მართლაც მალა მთის წვერზე გადმოჯდა მთვარე, სხივ-მოამფინარე; შეიღვრესა ცას და ქვეყანას, ვით მგობარი ტკბილ-შოაღმინარე.

გამოილიცა ცამ და ქვეყანამ, ვერ აშორებენ ერთმანეთს თვალსა, და თანასწორად, თანხიობით გრძობენ, შემოქმედების ღიადსა ძალსა! მალალ ხის ძირში ბროლის ქანდაკად იღვა უძრავად ტურფა ასული და მთვარის შუქზე, მოძრავ სახეში გამოხატვლად გული და სული. და მიზნდლი მისი თვალბეიც ბრწყინავდა, როგორც წმინდა ღამბარი! მაგრამ რას გრძობდა? და რას ჰფიქრობდა? ის იყო ჩემთვის გაუგებარი! ვფიქრობდი გულში: ნეტავ ეს ქალი რაზედა ჰფიქრობს და რა აღონებს? ნუ თუ ჩვენს წარსულს, აქ დაიწყებულს, გულ-დაწყვეტილი ოხვრით იგონებს? ითვლისწინებს იმ ჩვენ ძველ დედებს, ისე ზირნათლად რომ იხდენ ვალს: ქმრებს გასაქირში უღელს უწყვიდენ და უმზადდენ გმირებს მომავალს? ჰფიქრობს და აღთქმას სდებს გამსკეპლული, რომ მათ მიჰძაძოს, მათ მიემგავოს, და მით თავის მხრით, თავისდა წილად დღევანდელ ქალთა ნაკლი შეავსოს? ნეტავ თუ მართლა? მაშინ ხომ მეცა მის წრფელ განზრახვებს მიესცემდი ბანსა, და როგორც სულის, ისე ხორცისაც მშენიერებას ვსცემდი თავყანსა. მაგრამ ვაი თუ სხვა რამ აღვლევებს? და სხვაზედ იყოს დაფიქრებულ? და დღეს, როგორც სხვებს, ისე ამასაც მხოლოდ სასკვითოდ უცემდეს გული? მაშინ შორს ჩემგან! შორს!.. შორს!.. ოცნებაჲ, ვერ დამიშინებს მხიბლავი ძალი!.. იქ, სადაც ქართველ ქალს ვერა ვხედავ, არ მწამს მშვენება და მომავალი!..

აკაკა.





**შურნალ-გაზეთებიდან.**

**ამის ამბები.** (რუსკოე სლოვო)-ს კორესპონდენტი დებეშით იუწყება მუკდენიდან: 22 სექტემბერს აქეთ, როცა რუსის არმიამ სამხრეთისაკენ გაილაშქრა, რუსებს წინ არსად წაუწყვიათ. პირიქით, ზოგიერთ ადგილას უკანად დაიწვიეს, მაგრამ რაც ეხლა პოზიციები უჭირავთ, კარგად გაამარჯვებ. მტოდნე ხალხი ამბობს, იაპონელებმაც ძლიერ ხელოვნურად გაამარჯვეს თავიანთი პოზიციებიო. ზოგან იაპონელებმა ისე მარჯვედ დამალეს თავიანთი სანგრები, რომ ახლოდანაც ვერ შეაძინეეს კაცი... იაპონელები და რუსები ზოგან სულ 800 ნაბიჯზე მდებარე ერთმანეთიდან. ერთის სოფლის ნახევარი მარშანის პოლკს უჭირავს, მეორე ნახევარი იაპონელებს. იაპონელები რუსულად დაიყვირებენ ხოლმე: „მარშანელებო, დიკარგენით აქედან, აქ ჩვენ უნდა ვიცხოვროთო!“ რუსები უპასუხებენ: „თქვენ თითონ დიკარგენითო!“ რამწამს მოპირდაპირეს თვალს მოჰკარავენ, მაშინვე თოფს ესვრიან, მაგრამ კიდან წყლის ამოდებას-კი არ უშლიან ერთმანეთს.

«ნოვოე ვრეშაია»-ს კორესპონდენტი როსტოვეცივი დებეშით იუწყება მუკდენიდან: დღიდან სადამომდე ქარავენებს ცნებნის საქმელი და სასლათეზისათვის თბილი ტანისამოსი მოაქვთ; ყველაზე მეტი ჩინური ლურჯი ხალათები მოაქვთ. ამბობენ, მთელ რუსის არმიას ამ ხალათებს ჩააცმევენო.

დელიი მელიი იუწყება: ერთ იტალიელ აფიცერს ცნობა მოუვლიდა, ამდირალმა ტოგომ ესლავედ დანიშნა გემები ბალტიის ესკადრის დასახვედრად. დიდ გემებს პატარა გემები გაჰყვებიან; როცა რუსის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში ჩავა, ეს პატარა გემები ყველგან გზაში ნალმებს ჩააწყობენო (რ. ლ.)

მთელი ქვეყნიერობა პორტ-არტურისაკენ იყურება, მაგრამ იქიდან ისეთი არეული ცნობა მოდის, რომ კაცს ვეღარ გაუგებია, მით უმეტეს რომ პორტ-არტურის სწორე კარტაც არცა გამოცემული. ერთი და იგივე ფორტი ან გორა სხვა-და-სხვა კარტაში სულ სხვა-და-სხვა ადგილასაა ნაჩვენები. მავალითად, ერლუნგშმანის ფორტი ზოგ კარტაში რკინის გზის აღმოსავლეთ მხარესაა ნაჩვენები, ზოგში დასავლეთ მხარეს; ზოგი ამბობს, შანშუანი რკინის გზის დასავლეთით მდებარეობს, ზოგი ამბობს აღ-

მოსავლეთითაო და სხვა. საქმეს უფრო ის ურევს, რომ რუსებს ბევრ ფორტისთვის და გორისათვის რუსული სახელი დაურქმევიათ, იაპონელები-კი ისევ ჩინურ სახელებს ეძახიან; სამხედრო მიმოხილველებმა სწორედ არ იციან, მავალითად, „პერეველინაია გორა“, ვისოკაია გორას“ და სხვებს ჩინურად რა სახელი ჰქვიათ. რაკი არც უტყუარი ცნობა მიდის, არც სწორე კარტა გამოცემული, სამხედრო მიმოხილველები სულ სხვა-და-სხვა აზრს გამოსთქვამენ პორტ-არტურის მდგომარეობასა და ბედზე. ზოგი ამბობობს, პორტ-არტურს დღე დათვლილი აქვსო, ზოგი-კი დღესაც ამტკიცებს, პორტ-არტური მიუვალი, ძალზედ გამარებული ციხეა და იმისი ადგება შეუძლებელიაო. ზოგი ამბობს, მართალია პორტ-არტური მეტად მავარი, მიუვალი ციხეა, მაგრამ იაპონელები მაინც თან და-თან წინ მიდიან და არც მოეშვებიან სანამ არ აიღებენო.

როგორც ვიცით, „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმოხილველის ბ. ს. კ.—ს ანგარიშით, მოსავალ გაზაფხულის პირამდე რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში სულ 668 ათასი კაცი ეყოლება და 1,818 ხომბაზანი ექნება; ქარაენის („ომოზ.“) ჯარიც რომ ვიანგარიშოთ, რუსეთს გაზაფხულზე სულ 700 ათასი კაცი ეყოლება შორეულ აღმოსავლეთს; ამ ჯარიდან მანჯურისის სამსავე არმიას სულ 502 ათასი კაცი და 1,596 საველე ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი შეჰხვდება; ეს ჯარიც არ ეყოფა გენერალ კუროპატკინს, რადგან იაპონიას სულ მცირედ 560 ათას კაცის გამოყვანა შეუძლიან. ამიტომ რუსებს კიდევ დასჭირდებათ 100 ან 150 ათას კაცის გაგზავნა. ჯერ რუსეთს ანდენი ჯარის გაგზავნა არც ერთის ომის დროს არ დასჭირებიაო. ბ. ს. კ. განაჯობობს: რუსეთი და იაპონია დიდძალ ჯარს შეჰყრიან მანჯურიაში. როგორ იმოქმედებს ამოდენა ჯარი შედარებით პატარა სამხრეთ მანჯურიაში (სულ რამდენიმე ათი ათას კვადრატულ ვერსტის სიგრცე აქვს), ძნელი წარმოსადგენია. სამივე არმია ცალ-ცალკე იმოქმედებს, თუ სამივე ერთად, თითქმის ერთ ბრძოლის ველზე იმოქმედებს, —ამის გამოცნობა შეუძლებელია“.

ცნობილი რუსის პარტიზანი პოლკოვნიკი მდღრიტოვი ავად გამხდარა, თავისი რაზმი სხვისთვის ჩაუბარებია და თითონ მუკდენში წასულა მოსარჩუნად. მდღრიტოვს „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონ-





დენტისათვის ლოდისეისათვის, სხვათა შორის, უთქვამს: იაპონელებს თაოსნობა აქლიათ, პარტიზანულ ომის უნარი არა აქვთ და ფრთიდან შემოვლის ძლიერ ეშინიანთო. ამის თაობაზე „ნოვოე ვრეშია“-ს სამხედრო მიმომხილველი შექნაშნავს: წარსული სამხედრო მოქმედება რომ გაეითვალისწინათ, უნდა ვსთქვათ, რომ არც თუ რუსებს მოუტანა საარგებლობა პარტიზანულმა მოქმედებამ. თითონ ბოლკოვნიკ მადრიტოვის რაზმი კორეაში შეიჭრა, დიდი სიმამაცე გამოიჩინა, ქალ. ანჩუს დაეცა, ძლიერ დაზარალდა და იძულებული იყო ისევ თავის ბინაზე დაეხია. პარტიზანული სამხედრო მოქმედება მხოლოდ თავის სამშობლოში შეუძლიან ჯარსა, უცხო, მტრის ქვეყანაში-კი რანაირად შეიძლება პარტიზანული მოქმედება? ჯერ-ჯერობით პარტიზანობას მხოლოდ ხუნხუნები ეწვეიან: მანჯურის რკინის გზას არ უსვენებენ, რუსეთს დიდ ჯარს აბანდებინებენ ამ რკინის გზის დასაცველად და სადღურები ფორტებად გადააქციენისა.

ინგლისურ გაზ. „დეილი მილ“-ის კორესპონდენტს 14 ოქტომბერს წერილი მოჰსვლია ერთის რუს მეგობრისაგან პორტ-არტურიდან. რუსი სწერს: ქალაქში ბევრი სახლა დადგარეული; დოკები და პორტის შენობები სამიწუხარო ყოფაშია. ზოგიერთი სამხედრო გემი ყუმბარებისაგანა დაზიანებული, მთელ ქალაქში ერთი ბოთლი ხლორაფორმი (დასაინებელი წამალი) აღარ დარჩა, ამიტომ დაჭრილებს ტანჯვას ვეღარ უადვილებენ. საქმელი თან და თან ცოტადებდა; ცუდ საქმლისაგან სხვადასხვა სნეულება გაჩნდა. რუსის ჯარს გენ. კუროპატკინის ჯარისა და ბალტიის ესკადრის შველის იმედ აქვს და ამ იმედით იბრძვის. რუსები სულ მიწურებაში ცხოვრობენ, მაგრამ იაპონელების ყუმბარა ხან-და-ხან ამ მიწურებასაც დაანგრევს ხოლმე („ნ.“).

„კენიგს. ცაიტუნგ“-ი იუწყება: ორმა ინგლისურმა გემმა პორტ-არტურში ყუმბარები წაიღეს; ერთმა გემმა 83 ათასი გრანატა შეიტანა ციხეში, მეორე კი იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში. ამბობენ, ის გემი, გრანატები რომ შეიტანა, ერთი მილიონ მანეთს მიიღეს ქირადა. („ნ. დ.“).

მუკდენთან დაკავშირებული ატყობინებენ «ბიურჟევი ველდომოსტი»-ს: ბოლო დროს თბილი, მზიანი დღეები იდგა, მაგრამ 30 ოქტომბერს ღამით ამინდი შეიცვალა: ჩრდილოეთის ქარი ამოვარდა, ცა შავი

ღრუბლებით შეიმოსა, წვიმამ დაუშვა, მერე თოვლი დაიწყო; 31 ოქტომბერს ისევ წვიმა დაუშვა, ისევ ქარი ამოვარდა.

«რუსკოე სლოვო»-ს კორესპონდენტი ლოდისეისკი 1 ნოემბერს დევეშით იუწყებოდა: „ხმა დადის, გუშინ რუსსა განაპირა მარჯვენა ფრთაზე ზარბაზნის სროლის შემდეგ თოფის სროლა ასტყდაო. გუშინ საღამოს სუიატუნში (რკინის გზის სადღურია მუკდენიდან 15 ვერსტზე) სასანიტარო მატარებელში 47 დაჭრილი რუსის სალდათი ჩასხეს, მუკდენშიაც ერთი დაჭრილი მიიყვანეს. გენ. ლინევიჩი პირველ არმიის უფროსობას შეუდგა. ხმა დადის, იაპონელები ამ დღეებში იერიშის მოტანას აპირებენ რუსის ჯარზეო, მაგრამ მე არა მჯერა ეს ხმა. მზიანი დღეებია, ჰყინავს“.

«რუს»-ის კორესპონდენტი ბ.ნი ორლოვეცი დევეშით იუწყება მუკდენიდან: «იაპონელებმა მეტად გააძლიერეს თავიანთი მოწინავე რაზმები. დარაჯები ათ ნაბიჯზე დგანან ერთი-ერთმანეთიდან. რუსის დარაჯები უსაფროდ დგანან, იაპონელი დარაჯები კი საფრებში არიან დამალულნი, მოხსენებასა და ბრძანებასაც ერთმანეთს სასტყვენებით ატყობინებენ» ამის თაობაზე ერთი რუსი სამხედრო მიმომხილველი შექნაშნავს: უნდა გამოტყობო ვთქვათ, რომ იაპონელები რუსებზე უფრო დახელოვნებულნი გამოდგნენ და სამხედრო საქმის თეორია სულ შესცვალებსო. (რ. ლ.)

„პრავეტ. ვესტნიკ“-ს დევეშით ატყობინებენ მუკდენიდან: რუსის მთავარ-სარდალმა 17 ოქტომბერს შემდეგი ბრძანება გასცა: 25 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე ბრძოლის ველიდან მუკდენში და იქიდან ჩრდილოეთისაკენ 828 დაჭრილი აფიცერი გაისტუმრეს, 28,479 დაჭრილი სალდათი, 198 სნეული აფიცერი და 3,827 სნეული სალდათი. მთავარ-სარდალი დიდ მადლობას უცხადებს არმიის სასანიტარო ნაწილის უფროსს გენ.-ლეიტ. ტრეპოვს, საავადმყოფოების ინსპექტორებს გენერალ-მაიორ ვეტრსკის, წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებულს ალექსანდროვსკის და სხვებს დაჭრილების მოვლისა და დაზინაფებისათვის. (პ. ვ.)

მოსკოვში ცნობა მიიღეს სასანიტარო რაზმების მოქმედებაზე. 29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე დაჭრილები 46 მატარებელს გადაჰყავდა ბრძოლის ველიდან სარბინამდეთო. საქონლის მატარებლებით





26 ათასი დაქირილი გადაიყვანეს, სასანიტაროებით — 7 ათასი, სულ 33 ათასი დაქირილი გადაიყვანეს. ამათგან ათას კაცამდე მალე ისევ ჯარიში დაბრუნდა. გზაში 1400-ზე მეტი მძიმე დაქირილი სხვა-დასხვა საავადმყოფოში დააბინავეს. მატარებლები ბრძოლის ველიდან ხარბინამდე (500 ვერსზე მეტია) 2—6 დღეს მოდიოდნენ. გზაში დაქირილებს საქმელი ეძლეოდათ, შექლენის ვაჯალში 22,230 დაქირილს აჭამეს სადილი. ხარბინში დაქირილებს არჩევდნენ; ზოგი ზევით მიჰყავდათ, ზოგს იქვე სტაგებდნენ. ნიკოლს-უსურისკში ყოველ დღე 700-მდე დაქირილი მიჰყავდათ, 14 ოქტომბრამდე 5 ათასზე მეტი დაქირილი მოგროვდა აქა. ბევრი უფრო ტუყვისაგან იყო მსუბუქად დაქირილი. ამათგან 75% საავადმყოფოში საშუალოდ 20 დღის წოლის შემდეგ ჯარში დაბრუნდა. (რ. ვ.)

«რეიტერის სააგენტო» იუწყება: «რუსული სამხედრო გაზ. «ფესტნიკ მანჯურსკოი არმიი» (მუქდენში გამოდის) სწერს: იაპონელები მოკლულ რუსებსა და იმათ ქონებას, ბრძოლის ველზედ ნაპოვნს, ღიღის მზრუნველობით ეკიდებიან და კარგად უვლიანოა. ვახუთი იწონებს იაპონელების ქცევას და უმატებს, გენ. კურობატკინი ურჩევს რუსის აფიცრებს, იაპონელების მავალითს მიჰაბძეთო. (რ. ვ.)

ჩიფუდან ატყობინებენ რღვილი ტელეგრაფ“-ს: იაპონელ მოხელეებს ჩიფუში კარგი ცნობები მოუვიდათ დაღნიდან. იაპონელების ღიღმა ზარბაზნებმა შინშინიდან ყუმბარა დაუშინეს პორტარტურს და ლოკების შეკეთებაზე ხელი ააღებინეს რუსებსაო. იაპონელი მოხელეები ამბობენ, რუსის ესკადრა ნავთსაღვრიდან აღარ გავაო. ეს იქიდანაც სწანს, რომ მეზღვაურები სამხედრო გემებიდან ხმელეთზე გადადიან ფორტების დასაცველად; ზარბაზნები და სამხედრო სურსათიც ფორტებზედ გადააქეთო. (ნ.ლ.)

«რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტი დეპეშით იუწყება გენ. ნოვის არმიიდან: იაპონელებმა 17 ოქტომბრის აღმოსავლეთ ფორტებზე იერიში მიიტანეს და უმთავრეს ფორტების თხრალები დაიჭირეს; ეს თხრალიები უფრო ღრმა, განიერი და ძლიერი გამოდგა; ვიღრე ეგონათ; კიკანშანის ჩრდილოეთით მიწის ქვეშ გვირაბებიც დაიჭირეს გამწვავებული ბრძოლის შემდეგ, მაგრამ რუსებს კიდევ დარჩათ თხრალის ნაწილი. ეხლა იაპონელებს გვირაბი გაჰყავთ ამ თხრალის ქვეშ; უნდათ, რუსებმა განდევნონ თხრალიებიდანაო. (რ. ვ.)

ქურნალ «პრედანა»-ს\* ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია მ ლუნცის საინტერესო წერილი რუსეთის საზოგადოების შესახებ. ავტორი ეხება იმ გარემოებას, რომ რუსეთის საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში ადმინისტრაციულ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ავტორის აზრით:

საზოგადოების განვითარებას მტიკიც, შეურყეველი კანონი უძევს საფუძვლად, რომლის გაუქმება — მოსახლა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ დროებით დააბრკოლონ საზოგადოების აღორძინება, ადამიანის ზრდა-განვითარება. ეს დაბრკოლება ზედაპირული, გარეგნული იქნება, საზოგადოებრივი ძალნი, რომელთაც სასტიკი ზედამხედველობა ავიწროებს, ოფიციალურ დაწესებულებებში, თვალსაჩინო ადგილას აღარ მოქმედებენ. სხვა-დასხვა ნაირ მიხვეულ-მოხვეულ გზებს გაიკვლავენ ხოლმე; ხალხის შუაგულში მოქმედებენ, პპოვებენ მტიკიც საბოქმედო ასპარეზს. რამდენადც სასტიკი გარეგნული ზედამხედველობა, იმდენად უფრო ძლიერდება ეს ფარული მოღვაწეობა. მდინარე, რომელსაც რაიმე დაბრკოლება გადაედება გზაზე, სხვა გზებს ეძებს თავისი უფლებისაკენ და ბოლოს მოიპოვებს კიდევაც.

ბოლოს წერილის ავტორს, თავისი სიტყვების დასამტიკიცებლად ის გარეგნობა მოჰყავს, რომ პრესსა, რომელსაც სასტიკ ცენზურას უმოორჩილებენ და ნებას არ აძლევენ თავისი აზრი გამოსთქვას ყოველ დღიურ მწვავე საკითხების შესახებ, გარეგნულად თითქო ისობა, კვდება, სიცოცხლის ნიშან წყალი არა აქვს. ამ დროს კი ვითარდება და ფრთებს შლის სხვანაირი პრესსა, რომელიც სხვა-დასხვა დამოუკიდებელ გზებს ეძებს და პპოვებს კიდევაც ხალხის ცხოვრებაში.

საზოგადოება, რომელსაც არ აქმაყოფილებს შევიწროვებული, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სკოლა, სხვა გზებს ეძებს განათლების წყურვილის დასაკმაყოფილებლად. შევიწროვებული თვით-მართვლობანიც ამ კანონი ემორჩილებიან: ფეხ-ქვეშ თვალსაჩინო ნიადაგი ეცლებათ და იმათ მაგერი იბადება სხვა დამოუკიდებელი, თავისუფალ მისწრაფების წრეები და ამხანაგობანი. ზემო აღნიშნული კანონი საფუძვლად უდევს კაცობრიობის მთელ ისტორიას და იმას ვერც ერთი ხალხი ვერ ასცდება, თავის საკუთარ კანონს ვერ შეჰქმნიან ამ წუთისოფელში.



\* \*

არის ერთგვარი სულით: ავადმყოფობა, რომელსაც „მანიაგრანდიოზა“, — განდიდების მანია — ჰქვია. ამ სენით შეპყრობილი სულდგმული, საკოდავი სანახავიც რომ იყოს, მეფურად ირჯება, თავი ქვეყნის მპყრობელად მიაჩნია. ამგვარ ავადმყოფს ვერაფერს ვერ ჩაავიწყებ, რადგან იგი მადლიდგან დაქქერის ყველას, ყველანი სულელებად მიაჩნია, თავისი თავი კი გამოაუღვევლ სიბრძნის სალორდო-სწორედ ამგვარი მანიით არის შეპყრობილი ლ. ლ. ტოლსტოი (პაწია ტოლსტოი და არა ცნობილი სახელ-განთქპული მწერალი). იმან ამას წინად წერილი დასტამა „ნოვ. ვრ.“-ში, რომელშიაც ინგლისის ტყავი გააძრო, ინდოეთიდან და საზოგადოდ აზიიდან განაძევა და იქ რუსეთის სამფლობელო დაამყვიღრა.

იმვე „ნოვ. ვრ.“-ში მენშიკოვმა სასტიკად და სამართლიანად განიხილა ტოლსტოის დიდებული ბოღვა. სხვა ქვეყნების დაპყრობაზე კი არა, ჩვენი საკუთარი თავის დაცვაზე, გამოკვებაზე და განათლებაზე უნდა ვიფიქროთო. მაგრამ დიდების მანიით შეპყრობილ ტოლსტოის არაფრად მიაჩნია სხვისი აზრი, სხვისი სამართლიანი კრიტიკა. ამ შხრივ ტოლსტოიმ საფრანგეთის ცნობილ მეფეს ლუი მე-XIV-ს გადაუკარბა, რომელმაც სთქვა, (სადრანგეთი მე ვარო“. ტოლსტოი კი ამბობს, მივლი დედა მიწის ზურგი მე ვარო და საკუთარ ზურგზე ტყავიც რომ ვააძრო, არ მოშლის ამ დიდებულ სიტყვების განმეორებას. „ნოვ. ვრ.“ ბოლონდელ ნომერში ტოლსტოი ამბობს: «მთელ ვეროპას შურს ჩვენი დიდება და ამიტომ გვემტერებოა». ესლა ყველანი უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ სულით ავადმყოფს არა ეშველება-რა და მხოლოდ ის უნდა გვიკვირდეს, რომ სუკორინმა თავისი ვაჭეთის მურ-ტლებზე მისცა ბინა დიდებულ ბოღვას, მაგრამ სუკორინს

„კარგირამ სჭირდეს, გვიკვირდეს.—  
„ვი რა საკვირველია“.

\* \*

ძველ დროში ჩინეთმა ერთხელ ომი გამოუტახა და მეზობელ ხალხს და მთავრობამ ჩინეთის დიდებულ ფილოსოფოსს კონფუციუსს რჩევა ჰკითხა. ფილოსოფოსმა უპასუხა: მეზობელ ხალხს თქვენ ძალით ვერ დაიმორჩილებთ. გაიყვანეთ ჩვენსა და მათ ქვეყანას

შუა კარგი გზები, გახსენით კარგი სასწავლებლები და ისინი თვითონ დაემორჩილებიან, თვითონ მოვლენ თქვენთან გასანათლებლოდ, ქუცის სასწავლოდ. ეს ქეშმარტიცა გაახსენდება კაცს, როცა გაითვალისწინებს რუსეთში მალოროსების მდგომარეობას, მათ წინაღმდეგ მიმართულ ასსიმილიაციის, ძალად გარუსების პოლიტიკას. აქ თვალ-ცხადად დანიახავს კაცი, რომ ძალადობა ბოლოს ბოლოს წინაღმდეგობას, პროტესტს იწვევს ხალხში. ამ საკითხს ესება „ნიუევ. ლისტ.“ მალოროსთა მდგომარეობის განხილვის დროს და ამბობს:

„მალოროსის მწერლობას იმ დროს, როცა ცხოვრობდნენ შვეჩენკო, კოტილიარეცკი, ოსნოვიანენკო, კულიში, მარკო-ვოვჩოკი,—ცნობილი მალოროსიული მწერლები, მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა მალოროსებს, რუსეთისაგან განდგომის ლტოლვილებს, სეპარატიზმს სწამებდა და სხვა-დასხვა ზომებს მიმართა ამ მხრივ მალოროსთა «ასილაგმაიად». მალოროსთა მწერლობის მოსპობა შეუძლებელი იყო, რადგან ეს მღელვარებას გამოიწვევდა ხალხში. ნება დართეს გამოეცათ მალოროსიულ მწერალთა ნაწერები, მხოლოდ გამოცემებში უნდა დაეცვათ რუსული მართლ-წერა. სრულებით აკრძალეს მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნა მალოროსიულ ენაზე: ვისაც სურს, რუსულ ენაზე წაიკითხოსო. აკრძალეს მალოროსიულ ენაზე დაბადებისა და სახარების თარგმნა, პოპულიარული, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილ წიგნაკების გამოცემა: მაგალითად ხოლერისა და სხვა ცნულებათა შესახებ. აკრძალეს სკოლებში მალოროსიულად დაბარაკი და გაუფებარ სიტყვების მალოროსიულად განმარტვა. ბევრს ეცადნენ მალოროსები, რათა ნება მიეცათ მათთვის საკუთარი თეატრი გაეხსნათ. ბოლოს მოაპოვეს ნებართვა, მხოლოდ ერთი პირობით: ცალკე მალოროსიულ პიესების დადგმა აკრძალული იყო. მალოროსიულ პიესასთან ერთად რუსული პიესაც უნდა დაედგათ: ანნორად იმ „საწამოას“, რომელსაც მალოროსიულ ენას ეძახიან, აღარ ექნებოდა იმდენი ძალა, რადგან იმავე საღამოს მაყურებელთა სხეულში ჩანაწევი „რუსული ენა“ წინაღმდეგობას გაუწევდა. ერთი სიტყვით, რასაც მალოროსიული პიესა შეკრავდა, იმის რუსული პიესა დასჭირდა, იმის მიუხედავად, გაიგებდა ხალხი ამ რუსულ პიესასა და ენას თუ არა“.





მერე რა შედეგი მოჰყვა ხალხისა და მისი ენის ამგვარ ღვენა-შვიწროებას? რუსეთში ფრთა-შეკვეცილი მალოროსიული მწერლობა საზღვარ-გარედ, გალიციასა და ამერიკაში განვითარდა და რუსეთისაკენც გაიკვლია სხვა-და-სხვანაირი გზები. მშვიდობიანი ხალხი, რომელიც რუსეთისაგან განდგომის სურვილით არ იყო გატაცებული დ მხოლოდ თავისი ენის განვითარება, თავისი მწერლობის შექმნა უნდოდა, ძალად ძალად გადაიმტკიცა მთავრობამ, მათ შორის უქმყოფილება დასთესა, გული ატკინა, მოიმღურა ხალხი. ამგვარმა ზომებმა, ხალხის ძალად შვიწროვებამ ძალადვე შეჰქმნა სეპარატისმის, განდგომის სურვილი.

ხელოვნურად გარუსების წადილი,—ბოლოს ამბობს ვახუთი,—მოგვაგონებს, სალტიკოვ-შჩენდრინის გზობს, უგრამ-ბურჩევს (ქალაქ გლუხოვის ისტორია“), რომელმაც მდინარის შეყენება მოისურვა. უნაყოფო წადილი იყო. მდინარე მხოლოდ მაშინ ვახდებდა ხოლმე საშინაო, როცა ვაზზე რაიმე დაბრკოლებას წააწყდებოდა, ისე კი სარგებლობის მეტა არაფერი მოაქვს. ხალხის განვითარების, პროგრესის მდინარეების შეყენებაც შეუძლებელია, ამ პროგრესისა, რომელიც თვითვეულ ხალხს მთელ კაცობრიობას აკავშირებს.

სკალკოვსკიმ აღნიშნა «ნოვ. ვრ.»-ში ის გარემოება, რომ ორი თვეც არ გასულა ზღვევს სიკდილის შემდეგ და იგი თითქმის ყველამ დაივიწყა პეტერბურგში.

ორი დღე გავიდა მინისტრის სიპიაგინის მოკვლის შემდეგ და შინაგან საქმეთა მინისტრად პლევრე დაინიშნა. მძიმე დრო იყო. ყველას დიდი უქმაყოფილება ემჩნეოდა. რუსეთის შინაგანი მდგომარეობა შეურყეველი იყო. ხალხი გაკირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სამრწველო კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა საქმე. მოსწავლე ახალგაზდობა მღელვარებდა: უნივერსიტეტებში განუწყვეტელი უწყსოება იყო. სარეკოლიუტო პროპაგანდამ ფრთა შეისხა. ვანშერდა პოლიტკაურ ხასიათის მკვლევობანი და მთავრობის წინააღმდეგი დემონსტრაციები. ქარხნის მუშები და გლეხები მღელვარებდნენ. ამ დროს რუსეთის შინაგან გამეგობის სათავეში დადგა განსვენებული მინისტრი პლევრე, მთავრობის სრული ნდობით მოსილი. იგი დიდებულ კაცად მიჩნდა მთავრობას, მისგან ხსნას ელოდენ, პლევრეს კი დიდ-

ბულ კაცის მხოლოდ ზედა პირი ჰქონდა გადაკრული. თვითონ პლევრემ გამოაცხადა, რომ მთავრობა მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ძალას, როცა ხალხის თანაგრძობას მოიპოვებსო, და პირველად თვითონ გადაუხვია ამ გზას. რასაკვირველია, მისი გავლენით შედგენილი 1903 წ. 25 თებერვლის მანიფესტი ახალს არაფერს ჰპირდებოდა ხალხს, ძველი წესის განგძობას ნიასწავებდა. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ხალხის განვითარება საკუთარ დამოუკიდებელ გზას დადგა, კანონმდებლობას გაუსწრო, სულ სხვა მიზნისკენ მიისწრაფვის. (ენ. ფურ.)

### ახალი ამბები და შენიშვნები.

(ვახუთებდან).

\* \* „პრავეტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: 25 ოქტომბერს მოსკოვში მოვიდა ქ. კაღინკაიდან 1000 ახლად მიწვეული სათადარიგო ჯარის კაცი, რომელნიც მოსკოვის სადგურიდან ახლო-მახლო ქუჩებს მოედნენ. ყვირილი ასტეხეს და უნდოდათ არაყის სავაჭრო ღუქნების დარბევვა. უპირავლესობა მთვრალეები იყვნენ. წესიერების აღსადგენათ სამხედრო რაზმი იქნა გამოწვეული. რაზმის უფროსი ამშვიდებდა ხალხს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჯარის კაცებმა დაუშინეს აფიცრებესა და სალდათებს ქვები და შეშა და დასქერს რაზმის უფროსი, 3 აფიცერი და 9 სალდათი. სალდათებმა, უფროსის ბრძანებით, თოფები დაუშინეს სათადარიგო ჯარის კაცებს: მოჰკლეს ორი და დასქერს 6 კაცი; ამის შემდეგ ხალხი დამშვიდდა.

\* \* «რუსკ. პრავდა»-ს წყერტ ქ. არიოლიდან, რომ აღვილობრივმა თანდარბებმა ამას წინად დაატუსაღეს ერთი გლეხი კონოვალოვი, რომელსაც ქურდობას სწამებდნენ. 3 დღეს საქმელს არ აძლევდნენ და უწყალოდ სცემეს, ასე რომ კანოვალოვი შემდეგ იძულებულთ გახდა 11 დღე საავადმყოფოში დაიხილა. ეს საქმე მოსკოვის თანდარბობა გამეგობამ განიხილა და თანდარბები გამართლა. გლეხმა კონოვლოვმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა თხოვნით. მინისტრის განკარგულებით ხელ-ახლად გამოიძიეს ეს საქმე, სამივე თანდარბი დაშინაშველ იცნეს და სასჯელი გადაუწყვიტეს.





\* დიმიტრი ჭავჭავაძემ დასტოვა 400,000 მანეთი, რომლის გამოც დავა ასტყდა სამოსწავლო უწყებისა და მემკვიდრეთა შორის. თავ. ჭავჭავაძემ ეს ფული სამოსწავლო უწყებას დაუტოვა თავ. ჭავჭავაძეთა და სხვათა შვილების აღსაზრდელად. მემკვიდრეებმა განაცხადეს, განსვენებული ანდერძის წერის დროს სრულს კუთხედ არ იყო. ეს საქმე ათი წელიწადი იქნება, რაც ერთი ინსტანციიდან მეორეში გადადიოდა. ამ დღეებში ტფილისის სამოსამართლო პალატამ ეს საქმე მოსპო, რადგანაც მოდავენი შერიგებულან. როგორც შევიტყუეთ, თ. ჭავჭავაძეების მემკვიდრეთ მიუღიათ თანხიდან 200 ათასი მანეთი და სარგებელიც 15,000 მანეთამდე.

\* ნახიჩევანის მახრაში 25 ოქტომბრისთვის ხოლერით ავთ ყოფილა 13 კაცი. ახლად ავად გამხდარა 46 კაცი. ამათში 18 რკინის გზის მუშა. ორღუდალში 28 კაცი გამხდარა ავთ, 3 მომკვდარა. შარლო-დალაგების მახრაში 25 ოქტომბრისთვის 55 კაცი იყო ავად. ხელ ახლად გამხდარა ავად 74 მუშა, მომკვდარა 55. სხვა ადგილებში თითო ოროლა კაცი გახდა ავად. ბაქოში პირველ ნოემბერს ავად გამხდარა ოთხი, მომკვდარა ერთი კაცი.

\* 29 ოქტომბერს ღებუთი აცნობეს კივილ-დნ ვაზით „რუსკ. ველოჰ.“-ს: „ღღეს საერო განათლების მინისტრის ადგილობრივ უნივერსიტეტის პრეფესორებმა თხოვეს იპადაცეს კივილი უნაღლეს საქალბო კურსების გახსნის შესახებ. მინისტრმა გამოუცხადა მთხოვნელებს, თქვენ განზრახვას არ თანაურძნობ და ამ საქმის განხორციელება სასურველად არ მიანიაო.“

\* უქვეშევრდომილესი ღებუთები გენერალ-ადიუტანტის სტესელისა: 15 ოქტომბერი: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენ უდიდებულესობას, რომ 12 ოქტომბერს იპადალესი ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ძლიერ უშენდნენ ყუმბარებს ჩვენს ფორტებსა ლ სიმაგრეებს. 13 ოქტომბერს ჩრდილოეთისკენ მათ იერიში მოიტანეს ერთ სიმაგრესა და ერთ ფორტზე, მაგრამ ჩვენებმა შრანელით ვაჭანტეს იმათი ზურგის ჯარი და იერიშით მოსულონი უკუაღდეს. ჩვენ მოვიკრულეს ერთი აფიცერი და 70 სალდათი; დაგვიტყვეს 8 აფიცერი და 400-მდე სალდათი. შეშინ სახადისაგან ვარდაიცვალა ინჟენერი შტაბს-კაპიტანი სახაროვი, რომელიც წინად ქალაქ დალნის გრადონა-

ჩლინიკად იყო. შეუძლებელია მამაცთა დასახლება, ყველანი გმირულად მოქმედებდნენ.“

17 ოქტომბერს: 15 ოქტომბერს გამოგზავნილ ღებუთების შემდეგ იპონელები დიდის მხნეობით განაგრძობენ ყუმბარების სროლას“

21 ოქტომბერს: „დიდო ხელმწიფე, ჩვენის სამშობლოს დიდად სადღესასწაულო დღეს ვლოცულობთ და გრგვისისებურ „ურა“-თი ვგებებთ თქვენს მეფეს; მუხლ-მოდრეკით შეეთხოვ უფალს თქვენს უდიდებულესობას დღეოფლისა და ტახტის მემკვიდრის დღეოქმდობას. ჩვენი აღტაცება გარაკცედა იმით, რომ ცხრა დღის შტურმი მოვიგერეთ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობის ტახტზე ასვლის დღისათვის. ამ დღეს ჩვენი მტერი თავის მიკადღს დაბადებას დღესასწაულობდა და ფიცსა სდებდნენ, ავიღებთ ციხესაო, მაგრამ ღმერთი ჩვენ მხარეს არის“.

\* გენერალ-ადიუტანტის კუროპატინის უქვეშევრდომილესი ღებუთა 3 ნოემბერს; 2 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, იპონელებმა გაილაშქრეს იმ ჩვენი რაზმის წინაღმდეგ, რომელიც სოფელ ლინწინაშუსთან იყო, მაგრამ ჩვენებმა მოაგერეს. 11 საათზე იპონელებმა ხელ-ახლა ასტეხეს თოფების სროლა, რომელიც საათ ნახევარს გასტანა. ჩვენ დაგვიტყვეს ოთხი სალდათი. 2 ნოემბერს გათენებისას ჩვენი რაზმი, პორუჩიკის ოსტაენკოს უფროსობით, ჩახსაფრა იპონელებს, ჩვენებმა წინ გაუშვეს ქვეითათ მიმავალი იპონელთა დრაგუნები, რიცხვით 32 კაცი. რაზმს უნდოდა, ცოცხლად შეგებყო ყველანი, მაგრამ იპონელებმა წინაღმდეგობა გასწიეს, ამიტომ ასტყდა სროლა. ჩვენებმა იპონელთა ნაწილი მოჰკლეს, ნაწილი დასტრეს ლ სამი კაცი ტყვედ წამოიყვანეს. იპონელებს ერთი როტა მიეშველა, მაგრამ ჩვენმა რაზმმა რაზმმა დაუწყო და შეაწერა, მერე უზარალოდ უკან დაბრუნდა. ზემოდ მოხსენებულს უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

\* მუკდენი. როგორც ისმის, 30,000 იპონელი გადმოვიდა ინკაუში და ამდენივე ბიძიგოში. ელიან, რომ იპონელები მოუვლიან ჩვენ მარჯვენა ფრთას, რომ ჩვენ ჯარს გზა მოუტრან ტელინისაკენ. — კუროკის სიკვდილზე უფრო და უფრო დაიენებით ლაპარაკობენ.





\* \* მუკედენი („რეიტ. სააგენტო“). იაზონელები მოქმედებენ თავიანთ გამაგრებულ პოზიციების უკან. ჯარების დიდი მოძრაობა. რუსები ამზობენ, რომ სულ უახლოვეს დროში მოხდება ბრძოლა. კორენ-სპანდენტები და სამხედრო აგენტები ეხლა მეტის თავისუფლებით მოქმედებენ.

\* \* ამ ცოტა ხანში კიევის სამოსაშართლო პალატა განიხილავს საინტერესო საქმეს. ბრალი ედება 27 კაცს, უმთავრესად რკინის გზის მუშებს, რომელთაც შარშან ივლისს უწესოებანი მოახდინეს კიევში. როგორც ფიქრობენ, პროცესი დაიწყება 24 ნოემბერს და რამდენიმე დღეს გასტანს. ბრალდებულთა დამკველებად იქნებიან კიეველი ვეჟილებს გარდა, მოსკოველი და პეტერბურგელი ვეჟილებიც.

\* \* სმოლ. გუბ. ვედომოსტა-ში დაბეჭდილია გუბერნატორის შემდეგი განცხადება: „ქალაქ სმოლენსკში 12 ოქტომბერს სამხედრო უფროსის სადგომთან, სადაც დიდძალი ხალხი შეიკრება, ჩხუბი მოუვიდათ რუსებსა და ებრაელებს. ამ ჩხუბის შემდეგ ბრბომ შეაჭრა ტრამვაის მოძრაობა, გადავიდა ბაზრის იმ ნაწილში, სადაც ხის ღუქნებში შეკრულ ტანისამოსს ჰყიდიან და აიკლო ოთხი ღუქანი. ბრბო შეიჭრა აგრეთვე ორ ებრაელის საეპურა კანტორაში და აიკლო იქაურობა. გეორგ დღეს, 13 ოქტომბერს, უწესოება მოხდა ქალაქ როსლავში. ბრბო შევიდა სახაზინო არყის ღუქანში და მეზოლად მდებარე ივანოვისა და გოლდინის ღუქანებში, სადაც საქონლის ნაწილი დაიტაცა. დაბარებულმა ჯარმა სმოლენსკსა და როსლავში უწესოებანი მოსპო, თუმცა იარაღი არ უხმარნია. ჩხუბისა და წესიერების აღდგენის დროს არავინ დაშავებულა. მოთავენი დაპატიმრებული იქნენა.“

\* \* ნოვიღევის გუბერნიის დაბა ჟურაივიდან სწერენ «ნოვოსტი»-ს: „17 ოქტომბერს აქ ებრაელები აიკლეს. ჯერ ისევ 15 ოქტომბერს ბრბო დაეცა ებრაელ მებულაკს და დაიტაცა მთელი იმისი საქონელი. ურიადნიკებმა სცადეს მმართველთა დაპატიმრება, მაგრამ ვერას გახდნენ: ბრბო ახლა თვითონ იმთ მიჰვარდა კეტებით, ხალხი დაწყნარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბოქაული გაჩნდა. 17 ოქტომბერს მაზრის მოედანი მოსულ ხალხით გაივსო. 2 საათზე რამდენიმე კაცი უმიზეზოდ დაეცა ერთ ებრაელს, ამათ მგაფრთხილებს მიჰმაქეს ჭ მიესივნენ მექუღე და მებულაკ ებრაელებს. დაიწყო

აიკლება. აწიოკებდნენ ურიებს. გაჰქურდეს და დალენეს 26 ღუქანი. ყველანი ულუკმა-პუროდ დარჩნენა.“


\* \* ამ წლის სექტემბერში ქიათურის შტოთი გაუტანიდა შავი ქვა: ქიათურიდან—1,181,250 ფ. ქიქოურიდან—717,000 ფ., სულ 1,898,250 ფუთი. ამ წლის პირველ ოქტომბრამდის შავი ქვის საწყობებში ეწყო: ქიათურაში—12.662,000 ფ., ქიქოურაში—9.407,000 ფ., დარკვეთში—643,000 ფ., სულ 22.712,000 ფუთი. სექტემბერში ფოთიდან გაუტანიათ: ჰლონდიაში—585,900 ფ., სახრეთ რუსეთში—566,500 ფ., სულ 1.428,300 ფუთი. ბათუმიდან გერმანიაში გაუტანიათ—100,700 ფ., სულ ფოთიდანა და ბათუმიდან გასულა 1.529,000 ფუთი. მსოფლიო ბაზარზე ფასები შავი ქვისა ერთს ლითონზე 8 პენსს არ ასცილებია.

\* \* 8 ნოემბერს ამიერკავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროს ბერნდთან იყვნენ ქიათურის შავი-ქვის საბჭოს წევრნი. როგორც მკითხველებს უთულოდ მოესვენებთ, სახალხო მატარებლების მიმოსვლა ქუთაისისა და ქიათურისთვის მეტად უხერხულ დროს არის დანიშნული. საბჭოს წევრებს უთხოვნიათ, შესცვალონ მიმოსვლის დრო. ბატონ ბერნდს პირობა მიუცია, დამატებით მატარებლებს დენიშნავთ და ვეცდებით შევცვალოთ მიმოსვლის დროცაო.

\* \* ხმებია, საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მოსპოს ის წესი, რომლის ძალით უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულთ «ჩინების» მიცემის დროს შეღავათი ეძლეოდათ.

\* \* გადაწყვეტილია, გლეხთა გადასახლების საქმის ძირითადი რეფორმა მოხდინონ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწოდებით ეროლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში.

\* \* „რუს“ი გადმოგვეცეს ნამდილ წყაროებიდან ამბავს, რომ სამხედრო სამინისტროს გადაუწყვეტია ჩამოართვას საინტენდანტო უწყებას საქმე, რომელიც დღემდის იმის ხელთ იყო: არმიისათვის ხორცის ყიდვა და ზრუნვა. ეს საქმე ეხლა მიწათმოქმედების სამინისტროს დაევალი. ამ სამინისტროს აგენტები შორეულ-აღმოსავლეთში მიდიან ჯარისთვის საქონლის სასყიდლად.







### შეირულებს.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის „მწყესი“-ს საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუხატოთ როგორც ჩემს მხრით, აგრეთვე ჩემის მოწაფეების მხრით ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს რწმუნებულ ჩემდამო სკოლას. აი ეს პირნი: ახ. დავით მიქაძემ შემოაწირა ნახევარი ქტევა ადგილი, რაზედაც სდგას სკოლა, ზაქარია საღუნუშვილმა 10 მან., აღმასხან კირვლიძემ 5 მ., ბეჟან ფალავანდიშვილმა 5 მ, სილიონ ფალავანდიშვილმა 5., გიორგი დეკანოიძემ 5 მან., სპირდონ ენუქიძემ 5 მ., იოსებ ფალავანდიშვილმა 3 მ., გიორგი დეკანოიძემ 3 მ., ლევან კუსიანმა 3 მ. ბეგლარ კუსიანმა 3 მ., გედევან შამანიძემ 3 მან., ოქროპირ საღუნუშვილმა 3 მ., ნიკოლოზ სამხარაძემ 3 მ., ერმალოზ დეკანოიძემ 3 მ., ზურაბა დეკანოიძემ 3 მ., დიმიტრი წერეთელმა 3 მ., ილია წერეთელმა 3 მ., ივანე დეკანოიძემ 2 მან., ხოჯა საღუნუშვილმა 2., მღ. გიორგი მიქაძემ 1 საყ. ქვაღირ. 8 მანეთად, წრემიძლი შემოსავლი მოველი-საგან 30 მან., მართ. ამავე სკოლისამ მღ. ილიარიონ წიქაძემ 280 მანეთი და სრულიად 400 მან..

მერჯვეის სამრევლო სკოლის მასწავ.  
გერმანე უკვადიძე.

## განხსნალება.

ხელის მოწვევა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

წ. „**ცნობის ფურცალი**“ მა-ჩ.

სურათმეიანი დახმარებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: **საზღვარ გარეთ:**  
ერთის წლით 6 მანეთი. || ერთის წლით 3 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწვევის თანხვე 4 მან.  
და დანარჩენი 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

წელიწადი **„მოამბე“** მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით 10 მ., ცალკე № 1 მან.

საზღვარ გარედ: 1 წლით — 13 მან., ცალკე — № 1 მ. 20 კ. ვინც „მოამბეს“ შეიღოს წდათ გამოაწერს, სურათებთანა დამატებულად (ცნობის ფურცლები) **უზსოდ გამგზავნება**

მალოდ ქალაქ გარე გასაზღვრ ფისტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწვევისთანავე უნდა იქნას შემოტანილი

წლიური ფასის განაწილება: პირველად — 6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისსკანთათვის, 1-ლ მარტამდე — 3 მ., 1-ლ აგვისტომდე — დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერეთ.)

როგორც (ცნობის ფურცლები, ა)ე „მოამბის“ მსოფლოდ წდაურ ხელის მომწერთ გაგზავნებათ თსზულებას გამოჩენად ესხანელ მწერლის სურგანტესის

# „**ლონ-პინოზი**“

დარეს სურათებით.

ეს თსზულება ნათარგმნი ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით) პრემიად დარიგებულ

ვაზუგვის ნაწერებს ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგებუთ ხარველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაგზავნებათ 1905 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწვევის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისის გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერთ მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

შრემიას გასცავსანად ტფილისის გარედ ხელის მომწერთ ღებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წდაურ ფასის კარდა. გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ

გაგვზავნებათ

„**მასალავი საპართველოზ ისტორიისათვის**“

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა. ეს წიგნი ახლად ნაპოვ ხელთ ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამსხავაბის სდგვამი.

ადრესი: Тифлисъ въ редакціи „Моамбе“-Цнобисъ Пурцели“





\* \* 10 ნოემბერს მათი მეუფება, იმერეთის ეპისკოპოსი ყ-დ სამღვდელთა ლეონიდი დაბა ყვირილის მთავარ მოწამეთა დავით და კოსტანტინეს ეკლესიაში ბრძანდებოდა მწირველი. წირვაზე დაესწრო ყვირილის სკოლების უმფროსი კლასის მოსწავლენი და მასწავლებლენი. წირვის გათავებისას გრძობითი საესე სიტყვა წარმოსთქვა დღესასწაულის გამო. ნათლად განუმარტა მლოცველებს თუ რაისთვის არის ქართველთა ერისაგან წმიდა მთავარ მოწამე გიორგი ასე გამოჩენული და უმეტესად პატივცემული და შეყვარებული სხვა წმიდანებთა შორის და რით მოიპოვა წმიდა გიორგამ ქართველთა გული.

\* \* ათს ნოემბერს ქართველთა მართლმადიდებელი ეკლესია მოიხსენებს რკინის მზვლეტავი ბოროლით წამებას წმიდა გიორგის. ამ დღეს მოსწავლევებს არ ანთავისუფლებენ სწავლისაგან, მაგრამ ზოგიერთმა ყვირილის სკოლების უმფროსებმა მოზრდილ მოსწავლეთ მისცეს ნება მღვდელმთავრის წირვას დასწრებოდნენ, ქალების სკოლის უმფროსებმა კი არ მისცეს ნება თავისუფლებისა ისიც ორი საათის დრო. ძლიერ სამწუხაროა ესეთი საქციელი ამ სკოლების მიუფროსეთა. ზოგიერთი მოსწავლე თავის სიცოცხლეში ვერც კი დაესწრება სადმე მღვდელმთავრის წირვას. ასეთი საქციელი იმას ნიშნავს, რომ არ ესმისთ და არ გაეგებათ მათ მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდა. უნდა იცოდეს ყველამ, რომ გონებითი განვითარება კაპეიკად არა ღირს თუ მოსწავლე ზნეობით და სარწმუნოებით დაქვეითებული... .

\* \* 11 ამ ნოემბერს მოხდა კუთხხევა ყვირილის საურთიერთო ნდობის სამეურნბო ბანკისა. პირველ საათზე შეიკრიბნენ წევრნი ამა საზოგადოებისა ბანკის შენობაში თეატრის გვერდით სადაც გარდახდილ იყო პარაკლისი დეკ. დ. ლამბაშიძისმიერ. პარაკლისის გათავებისას მოკლე სიტყვა წარმოსთქვა დეკ. დ. ლამბაშიძემ და ისურვა კეთილ წარმატება ბანკისა. ორ საათზე მიწვეულნი იყვნენ წევრნი და სტუმრები სადილზე, რომელზედაც ბევრი სიტყვები იყო წარმოთქმული... .

# სასელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## საექვე ვითხევის განმარტება.

კით. მრველში არის ჩამოსიძებული სხვა სამრველოდან და ხუთი წლის განმავლობაში ჩემს საბუთებში წერება და ჩემს სამრველოში სცხოვრებს თავის ცოლ-შვილით. ვის ეკუთვნის ამ კაცის შვილების სავეირგვინო, ან გარდაცვალების დროს—საწირავი და სხვა მღვდელმოქმედებისათვის საჩუქარი?

მიგ. იმ მღვდელს რომლის მრველშიაც ჩამოსიძებული და რომლის ეკლესიების საბუთებში ჩაწერილა. მაგრამ ეს მღვდელი ვალდებულია შეეტყობინებია ეკლესიის საბუთებში შთაწერა წინამდელ მრველის მღვდელისათვის.

კით. ჩემს ეკლესიაზედ მოასვენეს და დამარხეს გარდაცვალებული სხვა სამრველოთაგანი ჩემდა შეუტყობლად. შეუძლია გარდაცვალებულის მღვდელმა მე მთხოვოს გარდაცვალებულის დამარხვაზე მოწმობა?

მიგ. არ შეუძლია. თუ უმღვდლოდ დამარხეს გარდაცვალებული პასუხი უნდა მოეთხოვოს დამმარხველთა.

კით. ბავშვი ნახეს დაგდებული. მშობელი არა სჩანს. არც არის შეტყობილი მონათლული თუ არა. შეუძლია მღვდელმა მონათლოს ეს ნაპოვნი ბავშვი?

მიგ. არა თუ შეუძლია ვლდებულოც არის, მხოლოდ სიგელი უნდა მიიღოს პოლიციის ბოქაულიდან ან მამასახლისისგან, რომ ბავშვი ნაპოვნია, ან ვისმეს კარზედ მიგდებული ნახეს.

კით. შეუძლია თუ არა რაიმე სასყიდელი მოითხოვოს მღვდელმა მეტრიკის გამოწერილობისათვის?

მიგ. საზოგადოდ მიღებულია თითქმის ყველგან ათი შაურის გამოართმევა.







ახალი სახელმწიფო შურონი

# განცხადება

# „ნაკალული“ სურათებით

მიიღება ხელის-მოწერა 1905 წლისათვის ორ-  
კვირულ ბაზრობათა ძარბულს

გამოაქვს მტარე წლოვან და მოზრდილ ერმათათვის  
თევში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და  
ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის  
დამატებით.

XXII წ. „მწუქესი“-ზე XXII წ.

წელიწადი იანვარიშუბა 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.  
შურონი სარგარამა

XX წ. რუსულ «Пастырь»-ზე XX წ.

- 1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგლოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რეზუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) შეთხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.

დ  
ქურონი სის ფასი:

12 თვით მწუქესი 3 მ. 6 თვით მწუქესი 2 მ.  
— „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მ.  
— „ორივე გამოცემა“ 5 მ. — „ორივე გამოცემა“ 3 მ.

შურონი სის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს 5 მ.  
ცალ ცალკე 3 მანეთი.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა  
ფეირილაში რედაქციაში, თბილისში წერა-კითხვის  
გამაურელებელ საზოგადოების წიგნის მალაზაში,  
ბ. შიო ქუჩაზე ველითან. სახალსკანკაში — ბლაღოჩინ  
მაზა არ. კაონდარი ველითან.

გამომცემელი შურონი სის მ. ნილო. მ. შოგულაშვილი.  
რედაქტორები { მ. ელ. დ. მისთავისა,  
ნილო ნი. ზარაბიშვილი.

სოფლის მსწავლებელთ და ღარიბთ ვაზეთები დეთომო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად  
რედაქცია იმყოფება დ. ფეირილაში რედაქ-  
ტორის საკუთარ სახლებში.

რედაქცია იმყოფება ბაქსანდროვის ქუჩაზე, № 5,  
სახლი პოპოვისა, საღვამე მარია ივანეს ასულის დეპურაის.  
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, წყნა-კითხვის  
გამაურე. საზოგ. კანკელარიაში და შურონი სის ფურცლებთან,  
ფოსტის აღრები: Тифлис, редак. жур. „Накадули“

ზარე მცხოვრებთ ქურონი სის დაბარება შეუძლით  
ამ აღრებით: Вь Квирилы, вь редакцию газеты и  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

რედაქციაში მოიბოგება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწუქესი“-სა, რომელთ-  
ნიც ორ მანეთად დეთომობათ მსურველთ.

სალიბრატორ განმომცემლობა: ჩვენ მომივთა სა-  
ყურადღებოდ, დეკ. დ დ — შიბისა. — იმერეთის ვარქის სამ-  
დელთების დეპუტატო კრება ქ. ქუთაისში 25-28 აგვისტოს  
1904 წ. დამსწრესი — ნაციონალური საბუქარი, იაკობ გო-  
გებაშვილისა. — ერისთვის ასულს საპასუხოდ, (ლექსი) აკაკის.  
— შურონი გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები, შე-  
წირულება. — საეკო კითხვების განმარტება. — განცხადება.

რედაქციაში მოიბოგება აგრეთვე სხვა-და-სხვა  
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-  
თალოგი დრო-გამომცემბით შურონი სის დეტელებმა  
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе.  
Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 15 ноября 1904 г.

Типог. редакцій журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилах вь собст. домѣ.